პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 191 (5481)

1975 წ. 25 სექტემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ასპარეზობის გვირგვინი

მოსკოვი, 24 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატის ბოლო, მეცხრე დღეს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, შეძლებდა პლანეტის უღონიერესი ადამიანი ვ. ალექსეევი ატაცში მსოფლიო რეკორდის დამყარებას, თუ გზას დაუთმობდა ახალგაზრდა ნიჭიერ ბულგარელ ძალოსანს, 22 წლის ხ. პლაჩკოვს. ამ ორთაბრძოლას შეეძლო გადაეწყვიტა გუნდური პირველობის ბედი. ასე რომ, საღამო მეტად საინტერესო და დაძაბულ ასპარეზობას გვპირდებოდა.

ცოტა რამ ამ ორი შესანიშნავი ძალოსნის „ურთიერთობის" ისტორიიდან. ალექსეევი და პლაჩკოვი ერთმანეთს ფიცარნაგზე ორჯერ შეხვდნენ. ერთხელ „მეგობრობის თასის" გათამაშებაში ერევანში, მეორედ 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მანილაში. ორივეჯერ გამარჯვება ალექსეევს დარჩა. შემდეგ პლაჩკოვმა თავის ქალაქ იამბოლში მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა ალექსეევს ატაცში: 5 კგ დაუმატა მის ძველ მიღწევას. შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატში პლაჩკოვმა 230 კგ აჰკრა და ერთბაშად 10 კილოგრამით გააუმჯობესა თავისი მიღწევა. ამის მიუხედავად, პლაჩკოვი მაინც ამბობდა, მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების იმედი არა მაქვსო. ალექსეევმა კი ერთხელ თქვა, ატაცში დაკარგულ კილოგრამებს ყოველთვის ავინაზღაურებ აკვრაშიო.

სხვათა შორის, ჩემპიონატის დაწყებამდე პლაჩკოვმა განაცხადა, მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ასეთი შედეგები უნდა ჰქონდეს: ატაცი — 195, აკვრა — 250. საინტერესოა, რომ პირველი შედეგი მან უკვე მოსკოვის ჩემპიონატში აჩვენა. მეორე მოძრაობაში კი... თუმცა მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

ატაცში პლაჩკოვმა იოლად დასძლია 185 კგ. ასევე იოლად აიღო ათლეტმა მომდევნო წონა — 195 კგ, რაც მისსავე მსოფლიო რეკორდზე 2,5 კილოგრამით მეტი იყო. მესამე ცდაზე პლაჩკოვი ნამდვილად ფანტასტიკურ წონას — 200 კილოგრამს შეეჭიდა, მაგრამ ამჯერად ეს წონა მას არ დამორჩილდა.

ამასობაში ალექსეევმა 182,5 კილოგრამით დაიწყო. შემდეგ მან გაიმეორა თავისი საკავშირო რეკორდი — 187,5 კგ, მაგრამ ახალი რეკორდის დამყარება (190 კგ) ვერ შეძლო.

ამრიგად, აკვრაში შეჯიბრების წინ პლაჩკოვი 7,5 კილოგრამს უგებდა ალექსეევს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ალექსეევი პლაჩკოვზე გაცილებით მძიმეა (ალექსეევი იწონის 158,5, ხოლო პლაჩკოვი — 136,6 კგ-ს) მაშინ ალექსეევს მეტოქისთვის აკვრაში სულ ცოტა 10 კგ უნდა მოეგო, რათა ორჭიდის ჯამში გამარჯვება მოეპოვებინა.

პლაჩკოვმა აკვრა 225 კილოგრამით დაიწყო. ეს წონა მან დაძლია. შემდეგ 235 კგ შეუკვეთა, მაგრამ ეს წონა არ დამორჩილდა. გაგულისებულმა მესამე ცდაზე 2,5 კგ დაუმატა, მაგრამ ვერც ამ წონას მოერია.

...როცა ალექსეევმა ბულგარელი ათლეტის წარუმატებელი ცდების ამბავი გაიგო, თქვა, პლაჩკოვისგან მეტს მოველოდიო. უკვე შეჯიბრების შემდეგ მან განაცხადა: გულახდილად რომ ვთქვა, მეგონა ბრძოლა უფრო დაძაბული იქნებოდა, პლაჩკოვი საინტერესო ძალოსანია და ვფიქრობდი, რომ 240 კილოგრამის აკვრას მაინც შეძლებდაო.

...ალექსეევმა კი აკვრა 235 კილოგრამით დაიწყო. შემდეგ დაძლია 240 კგ, რამაც ჯამში 427,5 კგ შეადგინა. ეს 2,5 კილოგრამით მეტია მისსავე მსოფლიო რეკორდზე. ეს ალექსეევის 69-ე მსოფლიო რეკორდია. 70-ე მიღწევა მან ამავე შეჯიბრებაში დაამყარა, როცა უარი თქვა მესამე ჩასათვლელ ცდაზე და მსოფლიო რეკორდებისთვის დამატებითი ცდა მოითხოვა. 245,5 კგ მას დამორჩილდა და ამით ნახევარი კილოგრამით დაამძიმა მსოფლიო რეკორდი აკვრაში.

შეჯიბრების შემდეგ ალექსეევს ასეთი შეკითხვა მისცეს:

— პლაჩკოვი, როგორც გაზეთები წერდნენ, მზად იყო თქვენთან შეხვედრისთვის. რას იტყვით ამის შესახებ?

— მე ეს ვიცოდი, მაგრამ მინდა ჩემს გულშემატკივრებს ვუთხრა, რომ შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, სულ ცოტა, სამ წელიწადს მაინც.

შეკითხვაზე, თუ როგორი იქნება მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულის შედეგი, ალექსეევმა ორჭოფულად უპასუხა: ეს ჩემი პატარა საიდუმლოა, ისე კი მონრეალის ოლიმპიური თამაშების მოგებასაც ვაპირებ. საიდუმლო არაა, რომ უახლოეს ხანში პრობლემას არ წარმოადგენს ასეთი შედეგები: ატაცი — 200, აკვრა — 270.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა ძალოსნებმა — 90 ქულა, მათ დაიბრუნეს შარშან მსოფლიო ჩემპიონატში დაკარგული I ადგილი. II ადგილზე დარჩნენ ბულგარელები — 78 ქულა, III — პოლონელები — 62.

ამით დამთავრდა მსოფლიოს XXIX და ევროპის XXXIV ჩემპიონატი ძალოსნობაში.

დ. კაპცოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ტექნიკური შედეგები

110 კგ-ს ზევით. ორჭიდი. 1. ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი) — 427,5 (187,5+240), 2. გ. ბონკი (გდრ) —422,5 (180+242,5), 3. ხ. პლაჩკოვი (ბულგარეთი) — 420 (195+225). **ატაცი.** 1. პლაჩკოვი — 195, 2. ალექსეევი — 187,5, 3. ი. ჰოიზერი (გდრ) — 180; **აკვრა.** 1. ბონკი — 242,5, 2. ალექსეევი — 240, 3. ჰოიზერი — 232,5.

• • •

სურათებზე: ზევით — მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში ვ. ხრისტოვი (ბულგარეთი); ქვევით — მსოფლიო ჩემპიონი ზემძიმე წონაში ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი).
საქდესის ფოტოები.

● **როჩესტერი (აშშ), 23 სექტემბერი.** შვედმა აფროსანმა ბ. პალმკვისტმა მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა „ურჩხულის" კლასის იახტებით ასპარეზობაში. II ადგილზეა კანადელი ტ. ბარჯესი, III — ამერიკელი უ. კრეიგი.

● **ბრატისლავა, 23 სექტემბერი.** ინტერნის თასზე წყალმოთხილამურეთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ბელორუსიის სპორტსმენებმაც მიიღეს მონაწილეობა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა, რომელსაც სათავეში ედგა ევროპის სამგზის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ფრანტიშეკ სტეგნო. ბელორუსიის ნაკრებმაც წარმატებით იასპარეზა: 24 მედლიდან 12 მოიპოვა და II ადგილი დაიკავა.

● **ტოკიო, 23 სექტემბერი.** მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში პოლონელმა ჭოკით მხტომელმა, ევროპის ჩემპიონმა ვ. კოზაკევიჩმა 550 სანტიმეტრზე გადებული თამასა გადალახა. მან 565 სმ სიმაღლესაც შეუტია, მაგრამ ამაოდ.

ფავორიტები მზად არიან

გუშინწინ შორეულ კოლუმბიაში დაიწყო კალათბურთელ ქალთა VII მსოფლიო ჩემპიონატი. ამ ტურნირისთვის გუნდები საგანგებოდ მოემზადნენ და ეს არცაა გასაკვირი: მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება მონრეალის ოლიმპიადის წინ, ოლიმპიადისა, რომელიც პირველად უმასპინძლებს ქალთა კალათბურთს.

სსრ კავშირის ნაკრებმა — ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა ჩაატარა გეგმაზომიერი სამზადისის მთლიანი ციკლი, რომელიც ითვალისწინებდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობას (აქ ნაკრების წევრები თავიანთს კლუბებში გამოდიოდნენ), მერე აქტიურ დასვენებას და მოსკოვისა და სოფიის ტურნირებში თამაშს.

საბჭოთა გუნდის მწვრთნელებზე ლ. ალექსეევასა და ვ. ქელდინზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა იაპონიის ეროვნულმა გუნდმა. იგი ფიზიკურად მომზადებულია უმძიმესი გამოცდისთვის, დისციპლინიანია და ტექნიკასაც საკმარისადაა დაუფლებული. იაპონიის ნაკრებს ყველაზე მეტად აწუხებს სიმაღლის საკითხი, მაგრამ გუნდი ამ ნაკლის ანაზღაურებას სისწრაფისა და მაღალი ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ცდილობს.

საბჭოთა გუნდის ძირითადი მეტოქე, როგორც ჩანს, ჩეხოსლოვაკიის ნაკრები იქნება. უცხოეთის პრესაში ბოლო ხანს აქებენ კანადის გუნდსაც, რაც ალბათ საფუძველს არაა მოკლებული. უსათუოდ ძლიერი კოლექტივი ეყოლება ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. სხვათა შორის, მსოფლიოს ამ ჩემპიონატის მონაწილეთა წინაშე დამატებით დგას უჟანგბადობის პრობლემა, ვინაიდან კოლუმბიის დედაქალაქი ბოგოტა ზღვის დონიდან 2660 მეტრზე მდებარეობს. ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში არიან ამერიკული გუნდები, რომლებიც ხშირად ჩადიოდნენ კოლუმბიაში და საცდელ შეხვედრებს ატარებდნენ.

საბჭოთა კალათბურთელები ჯგუფური ტურნირების პირველ მატჩში არგენტინელებს შეხვდნენ. გუშინ ისინი უნგრეთის გუნდთან თამაშობდნენ, ხოლო დღეს — კანადის ნაკრებთან. საბჭოთა გუნდში არის უმნიშვნელო ცვლილებები: სამწლიანი „შესვენების" შემდეგ შემადგენლობაში დაბრუნდა ა. რუპშენე. არის ერთი დებიუტანტიც — ტ. ზახაროვა.

გაგაცნობთ სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობას:

ცენტრალური თავდამსხმელები: მსოფლიოს ერთგზის და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი უ. სემიონოვა (დაიბადა 1952 წ. სიმაღლე 210 სმ), მსოფლიოს ერთგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონი ნ. ფერიაბნიკოვა (1949, 193), ევროპის ორგზის ჩემპიონი ო. სუხარნოვა (1955, 192).

მცველები: მსოფლიოს ერთგზის და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი ნ. ზახაროვა (1945, 169), ევროპის სამგზის ჩემპიონი ტ. ოვეჩკინა (1950, 174), ევროპის ჩემპიონი ო. ბარიშევა (1954, 170), ევროპის ჩემპიონი ნ. შუვაევა (1952, 175), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ა. რუპშენე-იანკუნაიტე (1952, 168).

თავდამსხმელები: მსოფლიოს ერთგზის და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი რ. კურვიაკოვა (1945, 185), ევროპის ჩემპიონი ა. ოვჩინიკოვა (1953, 188), მსოფლიოს ერთგზის და ევროპის ორგზის ჩემპიონი ნ. კლიმოვა (1951, 185), ტ. ზახაროვა (1951, 180).

კარგი მასპინძლები

— ზუგდიდელთა მასპინძლობით აღტაცებული ვართ. პარტიისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტებმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა თითქმის ყველა ორგანიზაცია ფეხზე დააყენეს, რომ მათს ქალაქში ჩამოსული მშდ კომპლექსის მრავალჭიდში „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზის გათამაშების III ეტაპის შეჯიბრების მონაწილეები ყველაფრით კმაყოფილი დარჩენილიყვნენ, — გვითხრა რესპუბლიკური ზონალური ტურნირის მთავარმა მსაჯმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა გ. მძელურმა.

მართლაც, შეჯიბრების დღეები ზუგდიდში ნამდვილ სპორტულ დღესასწაულად იქცა. საზეიმოდ მორთული ბაზები, თავისუფალ დროს მონაწილეებისთვის კულტურისა და დასვენების პარკში მოწყობილი სეირნობა, კონცერტები, სპორტული გამოსვლები კარგად ორგანიზებულ შეჯიბრებას მეტ შნოსა და ლაზათს აძლევდა. შესაძლოა ამანაც განაპირობა მონაწილეთა უმეტესობის კარგი შედეგები.

შეჯიბრების საზეიმო გახსნა სტადიონზე მოეწყო. წვიმის მიუხედავად, ზეიმზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მონაწილეებს მიესალმნენ ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ო. ჭითანავა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კ. მაჭარაძე.

მას შემდეგ, რაც სპორტსმენები ეწვივნენ ლენინის ძეგლს და იგი გვირგვინით შეამკეს, შეჯიბრებები ერთდროულად გაჩაღდა ქალაქის რამდენიმე ბაზაზე. ზუგდიდში ხეირიანი აუზის უქონლობის გამო მხოლოდ ცურვაში შეჯიბრების გადატანა გახდა საჭირო. ამ სახეობაში ასპარეზობა ქალაქიდან 22 კილომეტრით დაშორებულ ენგურჰესის ძალოვანი კვანძის მშენებლობის სამმართველოს აუზში ჩატარდა, მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასპარეზობა არ შეფერხებულა — ავტობუსები საკმაო რაოდენობით გამოყვეს.

გამარჯვებისთვის ქ. ზუგდიდის (1253 ქულა), ფოთის (1188), ჩხოროწყუს (807), ზუგდიდის რაიონის (695), ცხაკაიას (613), აბაშის (597), გეგეჭკორის (512), ხობისა (465) და წალენჯიხის (378) კოლექტივები იბრძოდნენ და საბოლოოდ ადგილებიც ამ თანამიმდევრობით განაწილდა.

სარბიელზე სულ 233 ფიზკულტურელი გამოვიდა. მათ შორის იყვნენ სხვადასხვა თანრიგის მქონე სპორტსმენებიც და ისეთებიც, რომელთა ყველაზე დიდი სპორტული ჯილდო მშდ კომპლექსის ოქროს სამკერდე ნიშანია.

მოასპარეზეთა უმეტესობა ერთნაირი გულმოდგინებით იბრძოდა ყოველი მეტრის, წამისა და ქულისთვის. აქ მებრძოლთა შორის ერთი ოჯახის წევრებსაც შევხვდით. განსაკუთრებით ქების ღირსნი არიან ძალოვანი კვანძის მშენებლობის სამმართველოს თანამშრომლები, ცოლ-ქმარი გალინა და ალექსანდრე ტრეშოვები, მამა-შვილი ივანე და მარინა საფანკოვები (ყველა — ზუგდიდი), რომლებმაც საპრიზო ადგილები დაიკავეს. მარინა გოგონათა შორის მეორე საფეხურის პროგრამით ცდიდა ძალებს. მან ცურვაში ყველას აჯობა, კროსშიც კარგი შედეგი ჰქონდა, საბოლოოდ 100 ქულა მოაგროვა და პირველობაც მოიპოვა. ტრეშოვები მეოთხე საფეხურის პროგრამით გამოდიოდნენ. ცოლი პირველ ასაკობრივ ჯგუფში უძლიერესი აღმოჩნდა, ქმარმა კი მეორე ასაკობრივ ჯგუფში II ადგილი დაიკავა.

(დასასრული მე-2 გვ.).

ყინულის მოედნებზე

გუშინწინ გაიმართა ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატის ორი კალენდარული მატჩი: ჩელიაბინსკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტრაქტორი" და მოსკოვის „დინამო", ხოლო ლენინგრადში — ასკ და მოსკოვის „სპარტაკი". ორივე შეხვედრა ფრედ, თანაც ერთნაირი ანგარიშით დამთავრდა — 4:4.

„ტრაქტორისა" და „დინამოს" თამაშში პერიოდების მიხედვით ანგარიში ასეთი იყო — 1:1, 0:1, 3:2. ხოლო ნევისპირელ არმიელთა და სპარტაკელთა შეხვედრაში — 1:1, 1:2, 2:1.

კარგი მასპინძლები

დასასრული

გამარჯვებისთვის განსაკუთრებით დაძაბული ბრძოლა გააჩაღეს პირველი საფეხურის პროგრამით მოასპარეზე ბიჭებმა პ. სურმავამ (გეგეჭკორი) და გ. ხუფუნიამ (ზუგდიდი). საბოლოოდ სურმავამ 123 ქულა მოაგროვა და მეტოქეს ქულით აჯობა.

ამ საფეხურის პროგრამით გოგონათა შორის ფოთელების უპირატესობა აშკარა იყო. ნ. ზვერევამ სიგრძეზე ხტომასა და კროსში ქულათა მაქსიმალური რაოდენობა (45-45) დააგროვა, თავი არც ცურვაში შეურცხვენია (30), არც სხვა სახეობებში და საბოლოოდ 140 ქულა ჰქონდა. II ადგილზე მისი თანაგუნდელი ნ. რეზცოვა გავიდა — 129.

ფოთელი მოსწავლეები მეტოქეებს მეორე საფეხურის პროგრამით მოასპარეზე ბიჭების შეჯიბრებაშიც სჯობდნენ. ა. ლავრენკომ 60 მ 7,5 წამში გაირბინა (30 ქულა), კროსში 45 ქულა მიიღო, ცურვაში — 33, საერთო ჯამში კი 130 ქულა დაუგროვდა. II ადგილზეც ფოთელი სპორტსმენი ს. კოვიაზინი გავიდა — 107.

სამაგიეროდ, გოგონათა შორის ზუგდიდელებს არ ჰყავდათ ბადალი: სამივე საპრიზო ადგილი ამ ქალაქის წარმომადგენლებმა მ. საფანკოვამ (100 ქულა), ლ. აფხაზავამ (89) და ი. ციგანკოვამ (65) დაიკავეს.

უფრო მაღალი საფეხურების ნორმატივების ჩამბარებლებს საქმე ასე კარგად როდი ჰქონდათ. მაგალითად, მეოთხე საფეხურის პროგრამით პირველ ასაკობრივ ჯგუფში II ადგილზე გასულ ვ. ქავთარაძეს (ფოთი), რომელმაც 66 ქულა მოაგროვა და 4 ქულით ჩამორჩა ს. მიქავას (ზუგდიდი), გაცილებით მეტი წარმატების მოპოვება შეეძლო. ქავთარაძე საკმაოდ ძლიერი სპრინტერია და საქართველოს ნაკრებშიც გამოდიოდა. ზუგდიდში მან 100 მ 11 წამში გაირბინა (პირველი თანრიგის შედეგია), რისთვისაც 40 ქულა მიიღო, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში 50 შესაძლებლიდან 43 ქულა მოაგროვა, არც ხელყუმბარის ტყორცნაში მოცარვია ხელი, მაგრამ ვერც ერთ სახეობაში თავისი შესაძლებლობები მთლიანად ვერ გამოავლინა. ვახტანგს სიგრძეზე ხტომაშიც შეეძლო წარმატების მოპოვება, მაგრამ ამ სახეობაში არ უასპარეზია და არც ცურვის სტარტზე გამოსულა.

ქავთარაძეზე განსაკუთრებით იმიტომ შევჩერდით, რომ მას, თუ მშდ კომპლექსის მრავალჭიდში თავის ძალებს მაქსიმალურად გამოიყენებს, შეუძლია გაიმარჯვოს არა მარტო საქართველოს, არამედ საკავშირო შეჯიბრებაში და სპორტის ოსტატის წოდებაც მოიპოვოს. ჩვენი აზრით, რესპუბლიკაში კიდევ რამდენიმე ასეთი პერსპექტიული სპორტსმენი გვყავს. სწორედ ეს გვაძლევს იმედს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები წარმატებას მოიპოვებს II საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც ოქტომბრის დამლევს ბაქოში გაიმართება „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე.

სხვა რესპუბლიკური ზონალური ტურნირებისგან განსხვავებით, ზუგდიდის შეჯიბრების მონაწილეებს ცურვაში საქმე უკეთ ჰქონდათ, მაგრამ ცურვის უცოდინარ ან ამ სახეობაში სუსტად მომზადებულ ნიშნოსნებს აქაც საკმაოდ შევხვდით. სროლაში კი ოსტატობა მაინცდამაინც მაღალ დონეზე არც აქ იდგა. მაგალითად, მესამე საფეხურის პროგრამით მოასპარეზე 47 სპორტსმენში მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში შეუფასებელი დარჩა 41, ცურვაში კი ნორმატივები 29 კაცმა ვერ ჩააბარა.

სროლაში ვერც ერთი ჩასათვლელი ქულა ვერ მიიღეს მესამე საფეხურის პროგრამით გამარჯვებულმა ზუგდიდელებმა ი. ვაგანმა (მან ჩემპიონობა 70 ქულით მოიპოვა) და ქალიშვილებს შორის უძლიერესმა ა. თოლორაიამ (40 ქულა).

განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ მეოთხე საფეხურის პროგრამით მეორე ასაკობრივ ჯგუფში მოასპარეზე ქალებს. ჩხოროწყუელმა ვ. კარტოზიამ 22 ქულით გაიმარჯვა. მან ეს ქულები 100 მეტრზე რბენასა და კროსში მოაგროვა. ცურვაში, სროლასა და ხელყუმბარის ტყორცნაში კი ამაოდ გაისარჯა.

სხვა საფეხურის პროგრამით გამარჯვებულები: მეოთხე ასაკობრივი ჯგუფი. **ვაჟები.** გ. გვარამია (ზუგდიდის რაიონი) — 29 ქულა. მეხუთე საფეხური. პირველი ასაკობრივი ჯგუფი. **ქალები.** ნ. სკაპიჩევსკაია (ფოთი) — 80; **ვაჟები.** ა. რამინიშვილი (ხობი) — 63, მეორე ასაკობრივი ჯგუფი. **ქალები.** ნ. სოკოლოვა (ზუგდიდი) — 55; **ვაჟები.** დ. ესართია (ჩხოროწყუ) — 60.

რ. მალრაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ზუგდიდი.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ განიხილა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში საქართველოს აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატთა ნაკრები გუნდის მონაწილეობისა და რესპუბლიკაში ამ სახეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა საკითხი.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ნიჩბოსნებმა, რომლებიც II ჯგუფში გამოდიოდნენ, 30 ქულა მოიპოვეს. I ჯგუფში საქართველოდან მხოლოდ გ. ნიკურაძე გამოდიოდა. საბჭოთა რვაადგილიანი ნავის ეკიპაჟმა, რომლის ერთ-ერთი წევრი ჩვენი წარმომადგენელი იყო, ამ ჯგუფში III ადგილი დაიკავა. ამ შედეგისთვის ნიკურაძეს 2 ქულა ხვდა. II ჯგუფში რ. გაბელაიამ ქალთა ორადგილიანი მესაჭიანი ნავის ეკიპაჟის შემადგენლობაში III ადგილი დაიკავა, ხოლო ქალთა რვაადგილიანის წევრმა ლ. ბურჯანაძემ — II. გუნდი XIII ადგილზე გავიდა.

გუნდებისა და ეკიპაჟების დაკომპლექტების პერიოდში იყო დიდი დანაკარგებიც. მაგალითად, გუნდიდან საპატიო მიზეზის გარეშე წავიდნენ უძლიერესი ნიჩბოსნები ვ. მესხი, თ. ცინცაძე, ნ. დიხამინჯია, ი. ბობოხიძე, თ. ენდელაძე, რომლებიც ამისთვის მკაცრად დაისაჯნენ.

ეკიპაჟები დაკომპლექტდა მხოლოდ წლეულს, აპრილის შუა რიცხვებში. უფროსი მწვრთნელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საერთო ფიზიკურ მომზადებას და ამტანობის გამომუშავებას, ხოლო სისწრაფის გამოსამუშავებელ მეცადინეობას, მიუხედავად მწვრთნელთა საბჭოს მითითებისა, დიდხანს არ იწყებდა. სიჩქარისა და ჩქაროსნული ამტანობის უკმარობა უკვე ნათლად გამოჩნდა მოსკოვის დიდ რეგატაში, განსაკუთრებით კი მოსკოვის პირველობაში, სადაც ჩვენი ეკიპაჟი პირად შეჯიბრებაში დაუშვეს. რვაადგილიანის ეკიპაჟმა მოზარდთა გუნდთანაც კი წააგო 11 წამით და ფინალში ვერ მოხვდა, ისევე როგორც ყველა დანარჩენი ეკიპაჟი.

კიდევ უფრო გართულდა ქალთა გუნდის ჩამოყალიბება. ვინაიდან არც სპორტსაზოგადოებები, არც უწყებები არ მუშაობენ აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქალთა მომზადებისთვის, გუნდის თითქმის ნახევარი ახალბედებით დაკომპლექტდა. მწვრთნელთა წინაშე იდგა ძალიან რთული ამოცანა — მოკლე დროში ესწავლებინათ სპორტსმენებისთვის ნიჩბოსნობის ელემენტარული ტექნიკა, გამოემუშავებინათ მაღალი ტემპი და სპარტაკიადის ფინალური სტარტებისთვის ოსტატებად მოემზადებინათ ისინი.

მწვრთნელები ვ. ევსეევი, პ. პახომოვი, პ. შაცკი და ბ. ბალდინკოვი ვერაფრით დაეხმარნენ ნაკრებ გუნდს. მათმა მომზადებულმა ეკიპაჟებმა თავიანთი შესაძლებლობები ვერ გამოავლინეს, გუნდს ვერც ერთი ჩასათვლელი ქულა ვერ მისცეს.

საქმეს აძნელებდა ისიც, რომ არა გვაქვს ნორმალური დაყოფილი დისტანციები შეჯიბრების ჩასატარებლად, სანიჩბოსნო აუზი, სპეციალური ტრენაჟორები.

ნაკრები გუნდის მომზადებისას ორგანიზაციული საკითხების გადაჭრაში სპორტსაზოგადოებები და უწყებები ოპერატიულად ვერ თანხმდებოდნენ, რასაც სპორტის ამ სახეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

გუნდის გამოსვლამ გვიჩვენა, რომ საქართველოს შეუძლია აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქვეყნის საუკეთესო კოლექტივებს გაუთანაბრდეს, ოღონდ ამისთვის საჭიროა ადგილებზე, სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებში კარგი, გეგმაზომიერი, შეთანხმებული მუშაობა.

კოლეგიამ დაადგინა:

აკადემიურ ნიჩბოსნობაში საქართველოს ნაკრები გუნდის გამოსვლა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად.

უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელები ვ. ევსეევი, პ. შაცკი, პ. პახომოვი, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს მათზე მიმაგრებული ეკიპაჟების მიერ სათანადო შედეგების მოპოვება, მოიხსნან სამუშაოდან.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, თბილისისა და ფოთის საქალაქო სპორტკომიტეტებს, სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა რესპუბლიკურ საბჭოებს დაევალოთ განიხილონ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში საქართველოს წარმომადგენელთა შედეგები, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის და სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარებისთვის.

SOS!

„SOS ინგლის. (სოს) — უბედურების მაუწყებელი რადიოსიგნალი, რომელსაც გადასცემს დაღუპვის პირას მყოფი გემი ან თვითმფრინავი“, — ვკითხულობთ მ. ჭაბაშვილის მიერ შედგენილ უცხო სიტყვათა ლექსიკონში. როგორც ჩანს, ჭიათურის საქალაქო საბჭოში შემავალ სოფელ კაცხის მესვეურებს ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გაუგიათ და ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. აბა რით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ამ ბოლო ორი თვის მანძილზე **კაცხელმა** ახალგაზრდებმა რამდენიმეჯერ მოგვწერეს თავიანთს სატკივარზე, თვითონ სოფელში, როგორც ჩანს, მათი ბედი არავის აინტერესებს. არ იქნა და სოფლის ახალგაზრდებს არ გამოუყვეს მიწის ნაკვეთი, სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი თავიანთი ძალებით მარტივი ტიპის სპორტულ მოედანს მოაწყობდნენ და სოფელს ერთი ჯანმრთელობის კერა ექნებოდა.

გორის რაიონის სოფელ ახრისის ახალგაზრდობასაც იგივე სატკივარი აქვს. სოფლის ახალგაზრდები, მოედნის უქონლობის გამო, რაიონის ვერც ერთ სპორტულ ღონისძიებაში ვერ მონაწილეობენ. ასეთივე საზრუნავი აქვთ **ამავე რაიონის სოფელ მარანის** ახალგაზრდებსაც (გ. ტატიშვილი, ო. ბესტავაშვილი, გ. ქარელი, მ. მარიამიძე, ჯ. ლაფაჩი, ზ. მამუჩაშვილი, მ. წიქარიძე, ნ. რაზმაძე და სხვ.). მათ ჰქონდათ პატარა სპორტმოედანი, მაგრამ შემდეგ, მის ადგილზე ბავშვთა ბაგა გაუხსნიათ, სანაცვლო ადგილის გამოყოფაზე კი არ უფიქრიათ.

ახმეტის რაიონის სოფელ ქორეთის ახალგაზრდებს თვითონ მოუწყვიათ სპორტული მოედანი და ინვენტარიც შეუძენიათ, მაგრამ მეურნეობის დირექციას დახმარების მაგიერ ხელი შეუშლია. ახლა გულდაწყვეტილი ახალგაზრდები (თ. ბაგაური, ო. კაბისაშვილი, ზ. თედეევი და სხვ.) ჩვენთან ეძებენ სამართალს. რა თქმა უნდა, სიმართლე თქვენს მხარეზეა, ახალგაზრდებო, და მეურნეობის ხელმძღვანელობამ თქვენი თხოვნა ყურად უნდა იღოს.

ზნაურელები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ფეხბურთისა და საჭიდაო სარბიელის მახლობლად საგზაო კონტორის საძირკველი ჩაყარეს და მალე ფინურ სახლსაც დადგამენო. ეს იმის ნიშანი ხომ არ არის, რომ მალე სტადიონსაც სხვა მიზნებისთვის გამოიყენებენო?

კასპის რაიონის სოფელ ერთაწმინდის ჭაბუკებს ფეხბურთის სათამაშო მინდორი კი ჰქონიათ, მაგრამ გადაუხნეს. რამდენჯერაც მიმართეს კოლმეურნეობის თავკაცებს, პასუხს ვერ ეღირსნენ. როდემდის გაგრძელდება ასე?

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როკითის ახალგაზრდები (ზ. და გ. ჩხაიძეები, მ. გოგსაძე, დ. სიორდია, ფ. და გ. კოხოძეები, დ. ხაინდრავა, ა. და რ. პოროხოვები და სხვ.) სპორტული ბაზების უქონლობას არ უჩივიან, მაგრამ წლეულს მათთვის დაუშლიათ საშუალო სკოლის ტერიტორიაზე მდებარე მოედნებით სარგებლობა. სკოლის დირექტორს ო. ჩიქვინიძეს ბურთი წაურთმევია და საკმაოდ უხეში სიტყვებით გაუძევებია ჭაბუკები. თან დაუმატებია: თქვენ ფეხბურთის მინდვრისთვის ადგილი ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას დირექციამ უნდა გამოგიყოთო. ახლა ჩვენ ვეკითხებით ჩიქვინიძეს: რატომ გზავნით ახალგაზრდებს სხვაგან, როცა ყურის ძირში აქვთ ადგილი? თუ სკოლის თანამშრომელთა შინაური ცხოველებისა და ფრინველების დასაბინავებლად შეიძლებოდა ამ ადგილის გამოყენება, ახალგაზრდებმა რა დააშავეს?

სავანე... რა ტკბილ მოგონებებს აღძრავს **საჩხერის რაიონის** ამ ულამაზესი სოფლის ხსენება. იგი ხომ უკვდავი აკაკის სახელთანაა დაკავშირებული. და რა გულსატკენია, როცა ჩვენი გაზეთის საჩხერელი კორესპონდენტი ა. ანახაშვილი გვწერს, რომ ამ სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ა. ჩხიტუნიძე) ახალი კონტორის პირდაპირ მდებარე ფეხბურთის მინდორი მოუვლელია. იმედი გვაქვს, ჩვენი წერილის შემდეგ მაინც მიაქცევენ ყურადღებას ამ საკითხს და სავანელ ახალგაზრდათა თხოვნას დააკმაყოფილებენ. იგივე ანახაშვილი გვწერს, რომ ასეთსავე მდგომარეობაშია **ამავე რაიონის სოფელ ჭალის** საფეხბურთო მინდორი. არც ამ სოფლის ახალგაზრდების თხოვნა უნდა დარჩეს უყურადღებოდ.

სამტრედიის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის დამტარებელი გ. გოგიშვილი გვწერს, რომ მათს დაწესებულებაში სპორტის არც ერთი სახეობა არ არის დანერგილი. ორგანიზაციის ხელმძღვანელები სპორტის მოყვარულებს დაჰპირებიან ამ საკითხის მოგვარებას, მაგრამ დანაპირების შესრულება დავიწყებიათ.

თელავის რაიონის სოფელ შალაურის ახალგაზრდები გვწერენ, რომ მათი სოფლის გუნდი ფეხბურთელთა რესპუბლიკურ ზონალურ გათამაშებაში მონაწილეობს, მაგრამ შეხვედრებს საკუთარ მინდორზე ვერ ატარებს სტადიონის კეთილმოუწყობლობის გამო.

საქდესი მოგვითხრობს

ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

განსაკუთრებული ექსპედიციის მარშრუტით

თითქმის 1500 კასპიური მილი მოიტოვა უკან საკრეისერო ნავმა „ჰერაკლმა“. იგი ერთი თვის განმავლობაში მოგზაურობდა ლეგენდარული განსაკუთრებული ექსპედიციის მარშრუტით, რომელსაც 1919-1920 წლებში წითელ ასტრახანში ბაქოდან ნავთობპროდუქტები დაჰქონდა.

აფროსნები სტუმრად იყვნენ ნავსადგურებში, აგროვებდნენ მასალებს განსაკუთრებული საზღვაო ექსპედიციის მონაწილეთა შესახებ, ახალგაზრდობას უამბობდნენ ხუთწლედის დამკვრელურ ვახტზე კასპიის საზღვაო სანაოსნოს მიღწევებზე, პროპაგანდას უწევდნენ აფროსნობას.

„ჰერაკლის“ ეკიპაჟს სათავეში ედგა შორეული სპორტული ცურვის ერთ-ერთი ვეტერანი, ბაქოს ამიერკავკასიის ფედერაციის სახელობის გემშემკეთებელი ქარხნის საამქროს ოსტატი, სპორტის ოსტატი საზღვაო მრავალჭიდში ა. ვისოტსკი. ღია ზღვაში მან თავისებური იუბილე აღნიშნა — აფრებთან მეგობრობის 25 წლისთავი.

„ჰერაკლი“ ვისოტსკისა და მისი მეგობარი ენთუზიასტების უკვე მეხუთე პირმშოა. კომკავშირელთა გაკეთებულმა ნავმა წარმატებით გაუძლო გამოცდას: კასპიის ზღვაზე წელიწადში თითქმის 250 დღეს შტორმია და გადასვლის მონაწილეებს მშვიდი ამინდი იშვიათად ანებივრებდა.

„სიმტკიცის გამოცდა“ წარმატებით ჩააბარა ეკიპაჟის ყველაზე ნორჩმა წევრმა — უმცროსმა ვისოტსკიმ. 16 წლის ვადიმი ბაქოს ენერგეტიკულ ტექნიკუმში სწავლობს. ეს მოგზაურობა მისთვის პირველი არ იყო, მაგრამ სირთულით ყველა დანარჩენს აღემატებოდა.

იმ რეკომენდაციების მიხედვით, რომელიც „ჰერაკლმა“ ჩამოიტანა ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოში, დამუშავდება სირთულის სხვადასხვა კატეგორიის მარშრუტების ახალი პროგრამა. ეს ნიშნავს, რომ კასპიის ზღვაზე ისრიალებენ მოყვარულ აფროსანთა სულ ახალი და ახალი ნავები.

ვ. მოროზკოვი.

ბაქო.

ასეთია სპორტული ცხოვრება

ლიპეცკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „პიატილეტკის“ მუშაკი სიმონ კავირშინი საინტერესო ბედის კაცია. ახლა იგი 75 წლისაა. ერთხელ, ამ 55 წლის წინათ, იგი, ახალგაზრდა გლეხი, ორლოვის საქალაქო პარკში მოხვდა, სადაც იმ დროისთვის ცნობილი პროფესიონალი მოჭიდავე ზბიკოვსკი გამოდიოდა.

— ვის სურს დამეჭიდოს? — მიუბრუნდა მოჭიდავე მაყურებლებს. კავირშინი სცენაზე გამოვიდა და რამდენიმე წუთში ბეჭებზე დასცა ათლეტი.

შემდეგ იგი თავის ძმასთან ერთად ცირკში დაესწრო მოჭიდავეთა ჯგუფის გამოსვლას, რომელსაც სათავეში ედგა სახელგანთქმული ფალავანი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი პოდდუბნი. ძმებმა ორთაბრძოლა შესთავაზეს ნებისმიერ მოჭიდავეს, პოდდუბნის გარდა. სიმონ კავირშინმა კვლავ წარმატება მოიპოვა. მას თვით „ჩემპიონთა ჩემპიონმა“ მიაქცია ყურადღება.

ყოველივე ამან კავირშინს დიდი სპორტისკენ გაუხსნა გზა. პოდდუბნის რჩევით მან ვარჯიში დაიწყო არა მარტო ჭიდაობაში, არამედ ძალოსნობის სხვადასხვა სახეობაშიც, მონაწილეობდა ბევრ შეჯიბრებაში.

სპორტიდან წასვლის შემდეგ კავირშინმა ზოოტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. მას შემდეგ აგერ უკვე ორმოც წელზე მეტია საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს. ახლა შრომისა და სპორტის ვეტერანი პენსიაზეა, მაგრამ უწინდებურად ეხმარება მეურნეობის მეცხოველეებს. ახალგაზრდობისთვის იგი კარგი მასწავლებელია — განსაკუთრებით კლასიკურ ჭიდაობასა და ძალოსნობაში.

მ. გოლაჩოვი.

ლიპეცკი.

კრასნოდარის სტადიონ „ყუბანის“ მცირე სპორტულ სარბიელზე დამთავრდა ქვეყნის ჩემპიონატი სპორტსაზოგადოება „უროჟაის“ ხელბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდა 11 კოლექტივი, რომელთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა რსფსრ-ს გუნდი (კრასნოდარის „გიდროსტროიტელი“).

სურათზე: ერთმანეთს ხვდებიან „სევანი“ (სომხეთი) და რსფსრ-ს გუნდი.



სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა I ზონა

23 სექტემბერს გაიმართა ზონის მორიგი ტურის შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

„დინამო" (ბათუმი) — „მერცხალი" (მახარაძე)

2:1

დაძაბული, უშეღავათო ბრძოლა ამ მატჩში განაპირობა იმან, რომ ორივე გუნდს სატურნირო მდგომარეობის გამოსასწორებლად ჰაერივით ესაჭიროება ქულები და, უნდა ითქვას, არც მასპინძლებს, არც სტუმრებს თავი არ დაუზოგავთ წარმატების მოსაპოვებლად.

ანგარიში გაიხსნა დასაწყისშივე, მე-3 წუთზე. გაგუა — ბექანიძე — ესებუა — ჩელებაძის კომბინაციის შემდეგ ეს უკანასკნელი სულ რამდენიმე მეტრის მანძილზე აღმოჩნდა მეტოქის კარიდან და კარგადაც გამოიყენა ეს მდგომარეობა. დინამოელთა პირველ იერიშებს მოჰყვა „მერცხლის" საჯარიმო მოედანზე შექმნილი ხშირი სახიფათო მომენტები, ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ ქიქავას, ჩელებაძეს, ესებუას, მაგრამ შესანიშნავად ითამაშა მეკარე ნუცუბიძემ. რახან მახარაძელთა მეკარეზე ჩამოვარდა ლაპარაკი, აქვე ვიტყვით, რომ 55-ე წუთზე სტუმრების კარში დაინიშნა პენალტი, რომლის გამოყენებაც დინამოელებმა გორგილაძეს მიანდვეს. ნუცუბიძემ ამჯერადაც ბრწყინვალე ნახტომით იხსნა გუნდი.

შუა ტაიმში ქიქავამ ინდივიდუალური გარღვევა მეორე გოლით დაამთავრა, ხოლო 45-ე წუთზე მახარაძელი კაკალაძე სწრაფად გაექცა მოპირდაპირე მცველებსაც, მეკარესაც და ერთი გოლი გაქვითა.

შესვენების შემდეგ ბრძოლა კვლავ შეუნელებელი სიმწვავით მიმდინარეობდა და საბოლოოდ ბათუმის „დინამომ" შეძლო ანგარიშის შენარჩუნება.

ო. მურვანიძე.

„დინამო" (ზუგდიდი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:2

ზედიზედ მოპოვებული ოთხი გამარჯვებით ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა საგრძნობლად გადაინაცვლეს წინ და ეს მეხუთე შეხვედრაც მოიგეს, თუმცა მათი მეტოქე იყო სამტრედიის „ლოკომოტივის" ძლიერი გუნდი, რომლის წარმატებები კარგადაა ცნობილი.

დინამოელთათვის განსაკუთრებით იღბლიანი გამოდგა მატჩის პირველი ნახევარი. მე-5 წუთზე მესხის მიერ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ბადეში გაგზავნა გადელიამ, შემდეგ, მე-16 წუთზე, ქომეთიანმა მეორედ აიღო რკინიგზელთა კარი, ტაიმის დასასრულისთვის კი ქვარაიამ ანგარიში 3:0-მდე გაზარდა.

მატჩის მსვლელობა თითქოს ზუგდიდელთა იოლ გამარჯვებაზე მეტყველებდა, მით უმეტეს, რომ მათ კიდევ ჰქონდათ ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ მეორე ტაიმში უპირატესობას მთლიანად ლოკომოტიველები დაეუფლნენ, მასპინძელთა დაცვას და მეკარე წყაროზიას მძიმე სამუშაო დააწვათ. „ლოკომოტივის" თავდამსხმელები განუწყვეტლივ უტევდნენ, მე-20 წუთზე ბახტაძემ გაქვითა პირველი გოლი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ქარქაშაძემ — მეორე.

ა. ალშიბაია.

სხვა ქალაქები

ასე დამთავრდა: „ხანკი" (იანგიარიკი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 3:0, „იანგიერი" (იანგიერი) — „დილა" (გორი) 2:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ფახთაჩი" (გულისტანი) 1:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „ნეფტიანიკი" (ფერგანა) 1:0, „ხაზარი" (სუმგაითი) — „ავტომობილისტი" (თერმეზი) 0:0, „პროგრესი" (კიროვაბადი) — „ჯიზაკი" (ჯიზაკი) 2:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იანგიერი"	30	17	8	5	55—25	42
„სტროიტ."	29	15	4	10	55—27	34
„ხანკი"	30	13	8	9	42—36	34
„დილა"	28	14	4	10	40—32	32
„გურია"	27	13	5	9	53—40	31
„დინამო" ბ.	28	12	5	11	41—29	29
„ლოკომოტ."	27	12	5	10	46—39	29
„მეტალურგი"	28	11	7	10	34—40	29
„დინამო" ზ.	28	12	4	12	45—49	28
„პროგრესი"	28	12	3	13	47—46	27
„ჯიზაკი"	27	12	3	12	32—40	27
„შირაკი"	27	11	3	13	37—43	25
„მერცხალი"	28	10	5	13	28—43	25
„ნეფტიან."	27	10	4	13	29—36	24
„ფახთაჩი"	27	9	6	12	29—42	24
„ხაზარი"	28	8	6	14	39—55	22
ფიზკ. ინსტ.	28	8	5	15	15—35	21
„ავტომობ."	27	8	3	16	33—43	19

სპორტულ-ტექნიკურ კომისიაში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ თავის განვლილ სხდომაზე იმსჯელა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მომხდარ დარღვევათა შესახებ.

ზუგდიდის „მექალალდე" თავის სტადიონზე საქართველოს თასის გათამაშებაში ხვდებოდა გეგეჭკორის „სალხინოს". ზუგდიდელმა ფეხბურთელმა ლ. ტაბაღუამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს ლ. ღონღაძეს, რისთვისაც მინდვრიდან გააძევეს. განაწყენებულმა ტაბაღუამ ამის შემდეგ ფეხი ვაარტყა არბიტრს.

თავაშვებულმა ფეხბურთელმა საკადრისი სასჯელი მიიღო: მას 2 წლით აუკრძალეს თამაში.

ქარელის „ყინცვისისა" და მცხეთის „არაგვის" შეხვედრაში მოხდა დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევები. „ყინცვისის" მოთამაშემ ი. ქივქივაძემ უხეშად ითამაშა მცხეთელი ს. ავანაშვილის წინააღმდეგ. ამ ინციდენტს მოჰყვა უცენზურო სიტყვები და ხელჩართული ჩხუბი. სოხუმელი არბიტრი გ. პოღოსიანი იძულებული იყო გაეძევებინა მოჩხუბრები მინდვრიდან. ამის შემდეგ პოღოსიანს გარს შემოეხვივნენ ფეხბურთელები და მოსთხოვეს შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება. თამაში საკმაო ხნით შეწყდა და მისი განახლება შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ პასუხისმგებელ პირთა ჩარევის შემდეგ. მაგრამ დამთავრდა მატჩი და გამოირკვა, რომ როგორც ერთ, ისე მეორე გუნდში თამაშობდნენ განაცხადში შეუტანელი ფეხბურთელები.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ქარელის სტადიონზე შექმნილია ყოვლად დაუშვებელი ატმოსფერო, მატჩების დროს მინდორზე ხშირად შედიან მაყურებლები, ზოგიერთი მათგანი თავაშვებულად იქცევა, ხოლო თვით ფეხბურთელთა კოლექტივში სათანადო სიმაღლეზე არ დგას პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა.

ი. ქივქივაძეს და ს. ავანაშვილს დისკვალიფიკაცია მიეცათ წლის ბოლომდე, ორივე გუნდს წაგება ჩაეთვალა განაცხადში შეუტანელ მოთამაშეთა გამოყვანისთვის, ხოლო ქარელის სტადიონის ხელმძღვანელობა გაფრთხილებულია, რათა ბაზაზე უმოკლეს ხანში დამყარდეს წესრიგი.

ასეთივე უწესრიგობა მოხდა სართიჭალის „იორ[illegible] წითელი წყაროს „მშენებლის" მატჩში. მსაჯმა თ. გრ[illegible] ვებელი კამათის გამო მინდვრიდან გააძევა წითელწყაროელი ზ. კოხტაშვილი, მაგრამ იგი არ დაემორჩილა ამ განკარგულებას. არბიტრი იძულებული იყო შეეწყვიტა თამაში.

ზ. კოხტაშვილი დისკვალიფიცირებულია წლის ბოლომდე, ხოლო წითელი წყაროს „მშენებელს" წაგება ჩაეთვალა.

წესრიგის დარღვევისთვის მკაცრი სასჯელი დაედოთ ვ. კეველაძეს (ასკ, თბილისი), ვ. ჭუნიაშვილს („ალაზანი", გურჯაანი), ო. თვალიაშვილს („კახეთი", თელავი), თ. კალანდაძეს, ი. მახარაძეს და შ. ჯიქიძეს (ყველა — „მშენებელი", ბათუმი).

ი. მეძღიშვილი,
სპორტტექნიკური კომისიის მდივანი.

გზა ოცნებიდან სინამდვილემდე

●

ანდრო ზაზროევი 50 წლისაა

●

როცა ფეხბურთელი კარიერას ამთავრებს, მისი ნამოღვაწარიდან მეტწილად სახელის გარდა თითქმის არაფერი რჩება. ხელშესაკიდი, კონკრეტული, თუ გნებავთ, თვალსაჩინო—დავიწყებას ეძლევა და ძველისძველ გულშემატკივართა მახსოვრობას თუ შემორჩება ხოლმე. ახალმა თაობამ, რომელიც ფეხბურთს ელექტრონის შუქზე უყურებს, უნდა თუ არა, მაინც უნდა დაუჯეროს ზეპირ გადმოცემებს, ლეგენდად ქცეულ ამბებს, იმპროვიზებულ მოგონებებს. რა კარგი იქნებოდა ამა თუ იმ გამოჩენილი ფეხბურთელის ოსტატობა ფირზე ყოფილიყო აღბეჭდილი, რათა მოგონებების ტალღა ფაქტობრივი მასალით შეფერადებულიყო. წარსულში ცნობილი ოსტატები დიახაც იმსახურებენ ასეთ პატივს.

ხუმრობა იქით იყოს და ასეთი ფილმები ყველაფერთან ერთად სანიმუშო სახელმძღვანელოც იქნებოდა ფეხბურთით დაინტერესებული მოზარდი თაობისთვის. ესა თუ ის ჭაბუკი სპორტსმენი მივიდოდა საფეხბურთო „ბიბლიოთეკაში", ანუ ფილმოთეკაში, წიგნის დარად მოითხოვდა დოკუმენტურ ფილმს რომელიმე ფეხბურთელზე და გაეცნობოდა თავისი წინამორბედის ხელოვნებას: დრიბლინგს, ფინტს, სხვადასხვა სირთულისა და სიძლიერის დარტყმებს, ორიენტაციას მინდორზე, აზროვნებას და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ საფეხბურთო კომპონენტს.

არ ვიცი, რატომ არ იქმნება დღემდე ასეთი „ბიბლიოთეკა", ალბათ ჩვენი უდარდელობისა და გულგრილობის გამო. ვიდრე ფეხბურთელს მუხლში ძალა ერჩის, თავბრუს ახვევს მეტოქეს, გააქვს ულამაზესი გოლები, მზადა ვართ თავი ვანაცვალოთ მას. მაგრამ აი, წავა სპორტსმენი მოედნიდან, თვალცრემლიანი დავემშვიდობებით და მორჩა — იგი მხოლოდ ზეპირი გადმოცემების გმირი ხდება. დაახლოებით ისევე, როგორც მაშინ, სანამ ადამიანი კინოს გამოიგონებდა. ისიც გვეყოფა, რომ გარდასულ დროთა ქართული სპორტის ბევრი რაინდი კინოფირზე არ აღბეჭდილა.

მაგალითად, საფეხბურთო „ბიბლიოთეკა" რომ არსებობდეს, მივა ყმაწვილი და მოითხოვს დოკუმენტურ ფილმს ანდრო ზაზროევზე. განა იმიტომ, თითქოს საქართველოში ტყავის ბურთის ჩინებული ოსტატი სხვა არ იყო. უბრალოდ, ანდრო ზაზროევის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით მომავალი ფეხბურთელი დაინტერესდებოდა მისი ხელოვნებით და თვალნათლივ დაინახავდა, შეისწავლიდა, გადმოიღებდა, რაც თანამედროვე სპორტსმენსაც შეუძლია მიიღოს ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენლისგან. დავუშვათ, ასეთი ფილმი მაინც არსებობს. როგორ წარმოუდგებოდა იგი ჩაბნელებულ დარბაზში ჩვენს ჭაბუკს თანატოლებთან ერთად?

ისინი დაინახავენ, როგორი ღირსების გრძნობით, ამაყად თავაწეული გამორბის მატჩის დაწყების წინ ტანმოვარჯიშის აღნაგობის ფეხბურთელი. იგი სხვებივით მკვირცხლი არ არის, როგორც იტყვიან, ქარს ვერ გაასწრებს, მაგრამ დინამოელთა ცენტრფორვარდი სისწრაფის უქმარობას ჭარბად ინაზღაურებს დახვეწილი ტექნიკითა და ტაქტიკით, მოულოდნელი, ზუსტი, მახვილგონივრული გადაცემებით, ორგანიზატორის ნიჭით.

შეგიმჩნევიათ (ეს უფრო ძველი გულშემატკივრების მისამართითაა ნათქვამი), რომ ზაფხულის თაკარა მზით გავარვარებული „დინამოს" კოპწია სტადიონის ტრიბუნები წინათ მეტ ემოციასა და მოუთმენლობას იჩენდა, ვიდრე ახლა? ეს მარტო იმით კი არაა გამოწვეული, რომ გუშინდელი ფეხბურთი დღევანდელს არა ჰგავს, იქნებ ამაში ის მცხუნვარე მზეც იყოს დამნაშავე? იქნებ ისიც, რომ მაშინ ტელევიზორის სახსენებელიც არ იყო? ან იქნებ ის, რომ ჩვენ ძველად ბევრ გართობა-სანახაობაზე ხელი არ მიგვიწვდებოდა?

ეს კია, საზოგადოებრივი აზრი, დახუნძლული ტრიბუნები მაშინ უფრო მეტ ზეგავლენას ახდენდა ფეხბურთელებზეც და გუნდზეც, ვიდრე დღეს. ამიტომაც იყო, რომ ძველად სუსტიც ძალგულოვანი ხდებოდა, საშუალო ოსტატი — საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელი... ერთი სიტყვით, სუსტიცა და ძლიერიც ცდილობდა მაქსიმალურად ეჩვენებინა მაყურებლისთვის, რისი უნარიც ჰქონდა და ზოგჯერ — მეტიც.

...დავუბრუნდეთ ეკრანს. იგი, რეტროეკრანი, გვიჩვენებს, როგორ იცვამს პირველად 1948 წელს თბილისის „დინამოს" მაისურს წაბლისფერთმიანი, ასაკის კვალობაზე საკმაოდ მკაცრი გამომეტყველების მქონე ჭაბუკი. იმ ახალგაზრდას „დინამოში" მოსვლამდე გავლილი აქვს ცხოვრებისეული და სპორტული ქურა. 1943 წელს გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში, დაახლოებით ამ დროიდან იწყება მისი საფეხბურთო გზაც. სად, რომელი ქალაქების გუნდებში არ უთამაშია ომის შემდეგ: ლენინაკანში, ერევანში, პერმში, სოხუმში... მერე საქართველოს თასის გათამაშების ფინალი: სოხუმის „დინამო" — თბილისის „სპარტაკი". დამარცხებით ნირწართმეულ ანდრო ზაზროევთან თამაშის შემდეგ მიდის ვიქტორ პანიუკოვი. „შუამავალი" ეუბნება — ბორია პაიჭაძეს უნდა შენთან ლაპარაკიო. ამ საუბარს შედეგად ის მოჰყვა, რომ ანდრო ჟორდანიამ თავისი სეხნია თბილისის „დინამოში" მოიწვია. თურმე, რა მოკლე ყოფილა გზა ოცნებიდან სინამდვილემდე!

პირველივე თამაშიდან იგი სულსა და გულს აქსოვს ყოველ მატჩში ზოგი რამ გამოუდის, ზოგი — არა. მაინც, რაც გინდა თქვით, უცნაური გუნდია თბილისის „დინამო". ამ უცნაურობას თავისებურებასაც უწოდებენ. იგი არც ერთ სხვა გუნდს არ ჰგავს. თავად მოგეხსენებათ, როგორი ნებისყოფა სჭირდება ყოველ ახალ ფეხბურთელს, რომ ამ თავისებური საფეხბურთო ორგანიზმის განუყოფელი, სისხლხორცეული ნაწილი გახდეს, რომ უცხო სხეულის დარად გუნდმა იგი არ ჩამოიშოროს და არ უკუაგდოს.

გუნდში მოსვლიდან უკვე ერთი წლის შემდეგ ზაზროევი ისე „მოერგო" თბილისის „დინამოს", თითქოს ამ გუნდში თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე ეთამაშოს. სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას, რომ 1949 წლის სეზონში გაიტანა 19 ბურთი და გუნდის ერთ-ერთი მთავარი ბომბარდირი გახდა. ეს მაშინ, როცა „დინამოს" მწვრთნელი იყო ანდრო ჟორდანია, ყველაზე მომთხოვნი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი წინამძღოლი. და ასეთ კაცს ანდრო ზაზროევის მიმართ თითქმის არ ჰქონია პრეტენზია. მას მოსწონდა ზაზროევი, რომელსაც უსიტყვოდ ესმოდა მწვრთნელისა. ინტელიგენტურ, დახვეწილ ფეხბურთელს, რომელიც ეძებდა ყველაზე მოკლე გზას მეტოქის კარისკენ, მწვრთნელი „დინამოს" ერთ-ერთ მოწინავე წევრად მიიჩნევდა.

ანდრო ზაზროევის საფეხბურთო კლასი სპირალივით დაგრეხილი არ ყოფილა. სტაბილურობა — აი, მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ღირსება. მაგრამ ზაზროევის სპორტული ცხოვრება აგრერიგად სწორი და მდგრადი როდი იყო. რატომ დატოვა მან ერთ მშვენიერ დღეს თბილისის „დინამო" და სათამაშოდ კიევში წავიდა? ნუ გამოვეკიდებით კონკრეტულ მიზეზებს. მოგეხსენებათ, ფეხბურთელები ჭირვეული და ხშირად ემოციების აჰყოლი ხალხია. ასე იყო თუ ისე, 1951 წელს ა. ზაზროევმა კიევის „დინამოს" მაისური ჩაიცვა. სამ წელიწადს მისი გვარი არ მორდებოდა სპორტული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს. ამ ხნის მანძილზე არც ერთ კიეველ ფეხბურთელს არ მიუღია ყვავილების იმდენი თაიგული, რამდენიც ზაზროევს, არც ერთს არ რგებია იმდენი მქუხარე ტაში, რამდენიც ქართული ფეხბურთის წარგზავნილს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, წლების მანძილზე ანდრო ზაზროევი კიევის „დინამოს" კაპიტანი იყო. ამით, ვფიქრობთ, ყველაფერია ნათქვამი.

თბილისს იგი დაუბრუნდა სპორტის დამსახურებულ ოსტატად, საერთაშორისო მატჩებში გამობრძმედილ სპორტსმენად და საკავშირო თასის მფლობელად. მას არ შეეძლო არ დაბრუნებულიყო, კიდევ ერთხელ არ ეჩვენებინა მშობლიური მაყურებლისთვის თავისი გონებამახვილური თამაში... ეს იყო თითქოს თავისებური ანგარიში, რომლითაც ანდრო ზაზროევი წარდგა გაზაფხულის მზით გაბრწყინებული თბილისური სტადიონის მწვანე მინდორზე. ეს იყო ჩინებული ოსტატის გედის სიმღერა, უკანასკნელი აკორდი მისი მოუსვენარი, მაგრამ შთამბეჭდავი სპორტული ცხოვრებისა. შფოთიანი იყო ეს ცხოვრება, ძალზე შფოთიანი. 1957 წელს იგი მძიმედ დაშავდა (უკვე მერამდენედ) და იმ დღიდან მწვრთნელის კოსტიუმი ჩაიცვა.

ჩვენ ნაადრევად ვილაპარაკეთ წარსულ დროში ანდრო ზაზროევის მშფოთვარე სპორტული ცხოვრების თაობაზე. რას ეძებდა იგი, როცა ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა და სხვადასხვა ყაიდისა და სიძლიერის გუნდებს წვრთნიდა? ფეხბურთის „ფილოსოფიურ ქვას"? ან იქნებ მიაჩნდა, რომ საფეხბურთო გეოგრაფია უსაზღვროა და მწვრთნელი ერთ ადგილზე დიდხანს არ უნდა დარჩეს? ან იქნებ თავისი ოცნების გუნდს ეძებდა? ერთი კი ცხადია: სადაც ყოფილა, თბილისში თუ დუშანბეში, ორჯონიკიძესა თუ კვლავ მშობლიურ თბილისში, მერკანტილური და ანგარებიანი მოსაზრებანი ახლოსაც არ გაუკარებია. იგი ემსახურებოდა ფეხბურთს, მეტიც, იგი თაყვანს სცემდა ფეხბურთს და უიმისოდ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სიცოცხლეც ვერ წარმოედგინა.

ანდრო ზაზროევმა უყოყმანოდ აირჩია პროფესია, რომელსაც გულგრილად ვერ ემსახურები, რამეთუ შენი ნამოღვაწარი ხელისგულივით ჩანს ხალხის თვალწინ. და იგი ნაადრევად გაჭაღარავდა.

ანდრო ზაზროევზე წერილის დაწერა გადამაწყვეტინა ერთმა შემთხვევითმა ფრაზამ: აი, ანდროც 50 წლისა გახდაო, — მითხრა ერთ-ერთმა ფეხბურთელმა. მას დოკუმენტური ფილმის ნახვა არ სჭირდება, ისედაც საუცხოოდ ახსოვს და იცის ყველაფერი.

ა. გოგელია.

• • •

P. S. ანდრო ზაზროევის პორტრეტის შტრიხებიდან ერთი ფრიად საყურადღებო მომენტი გამოგვრჩა. იგი ზედმიწევნით თავმდაბალია, არასოდეს გამოჰკიდებია და უძებნია ხოტბა-დიდება. ზოგიერთი იუბილარის დარად სოფელ-ქვეყნისთვის არ მოუფენია — 50 წლისა გავხდი და აბა, ახლა თქვენ იცითო. მე ბევრჯერ მილაპარაკია ანდროსთან და პირველად ვნახე იგი სახეწამოწითლებული, როცა ვუთხარი, თქვენზე წერილის დაწერას ვაპირებ-მეთქი.

• • •

სურათზე: სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ზაზროევი თბილისის „დინამოს" სტადიონზე გამოდის თავისი გუნდის შემადგენლობაში. სიღრმეში—მისი თანაგუნდელები ა. ჭკუასელი და ვ. ელოშვილი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

უცხოეთის
ფეხბურთის
ამბავი

„კოსმოსი" ეპატიჟება გრანს

ნიუ იორკის „კოსმოსმა" ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა შვეციის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს გრანს, რომელიც ახლა ციურიხის „გრასჰოპერსში" თამაშობს. „კოსმოსის" ხელმძღვანელობა ახალ ფეხბურთელებს ეძებს, ვინაიდან ძველმა შემადგენლობამ, პელეს მონაწილეობის მიუხედავად, სრული ფიასკო განიცადა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხუთი რგოლის ემბლემაც რომ ეკიდოს..."

— ორგანიზაციით მსოფლიოს და ევროპის წლევანდელი ჩემპიონატი საუკეთესოა იმ ასპარეზობათა შორის, რომლებსაც კი ოდესმე დავსწრებივარ, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, ავსტრიელმა გ. შედლმა. — მოსკოვის სპორტის სასახლის შესასვლელში დღეს ხუთი რგოლის ემბლემაც რომ ეკიდოს, ვირწმუნებდი, ოლიმპიურ ტურნირს ვესწრები-მეთქი.

● რას გამოყოფდით პირველ ყოვლისა ამ ტურნირიდან?

— საუცხოო ატმოსფეროს, რომელიც მოწმობს, რომ დარბაზში არიან არა უბრალო გულშემატკივრები, არამედ სპორტის ამ სახეობის კარგი მცოდნენი და დამფასებლები. ეს ატმოსფერო დაეხმარა სპორტსმენებს არა მარტო თავიანთი ქვეყნების, არამედ მსოფლიო რეკორდების დამყარებაშიც. აქ ყველაფერი, აწონვის ოთახიდან მოთელვის დარბაზამდე, სპორტული ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვითაა მოწყობილი. სხვათა შორის, სწორედ ასეთი მოწყობილობა დაიდგმება მონრეალშიც და ეს მე ძალიან მიხარია.

● სპორტის სხვადასხვა სახეობაში დღეს მწვავედ დგას მსაჯობის პრობლემა. თქვენ თუ გაღელვებთ იგი?

— სამწუხაროდ, ჩვენც (თუმცა, ერთი შეხედვით, ფიცარნაგზე ყველაფერი საკმაოდ მარტივად წყდება) გვაწუხებს არბიტრთა შერჩევის პრობლემა. მოსკოვში მსაჯთა ბრიგადებმა თავი გაართვეს თავიანთს მოვალეობას, მაგრამ ჩვენ მაინც განვაგრძობთ მუშაობას უმნიშვნელოვანესი ტურნირებისთვის ობიექტური მსაჯების „ელიტის" მოსამზადებლად.

● კიდევ რა საზრუნავი აქვს ფედერაციას?

— ჩვენი ფედერაცია დიდ ყურადღებას აქცევს მსოფლიოში ძალოსნობის პროპაგანდას და განვითარებას. მიხარია, რომ ჩვენს მიერ მოწყობილი სემინარები დიდი პოპულარობით სარგებლობს და სხვადასხვა სახელმწიფოს, პირველ ყოვლისა კი სოციალისტური ქვეყნების მწვრთნელები სიამოვნებით გამოდიან მოხსენებებით, საიდუმლოების საბურველში არ ხვევენ თავიანთს გამოცდილებას.

● ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ მოსკოვის პირველობიდან?

— პირველ ყოვლისა, მსოფლიო რეკორდების დამყარების წამები. ვალენტინ ხრისტოვმა ალბათ ყველა მაყურებლის გული დაიპყრო. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შეჯიბრებამ, სადაც ალექსეევის გამოცდილებასა და ოსტატობას პლაჩკოვის ახალგაზრდობა და ძალა დაუპირისპირდა.

● ხომ ვერ დაგვიხასიათებდით მსოფლიოს მოწინავე გუნდებს?

— დავიწყებ პოლონეთის ნაკრებით. სტარტზე ამ ქვეყნის სპორტსმენთა გამარჯვება ბევრისთვის სიურპრიზი იყო. გუნდი რამდენიმე წელიწადს უმთავრესად ვეტერანებს ეყრდნობოდა, ახლა კი გამოჩნდნენ ახალგაზრდა ათლეტები და მათ ახლებური სიო შეიტანეს ნაკრების ცხოვრებაში.

ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელებმა მიაგნეს ექსტრა-კლასის ახალგაზრდა ათლეტთა აღზრდის გზას. შემიძლია მხოლოდ ის ვთქვა, რომ ივანე აბაჯიევის გამოცდილება განსაკუთრებით გულმოდგინე შესწავლას საჭიროებს. მე უკვე დავასახელე ხრისტოვი და პლაჩკოვი. ჩემი აზრით, ბულგარელებს ჰყავთ კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელთაც შეუძლიათ მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედლები მოიპოვონ.

თუმცა გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, უნდა აღვნიშნო, რომ სსრ კავშირის ნაკრებში ცვლილებები ნაკლებად იგრძნობა. რასაკვირველია, სასიამოვნოა საერთო გუნდური გამარჯვება, მაგრამ თქვენი ქვეყნის სპეციალისტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ რამდენიმე წონითს კატეგორიაში არ აღმოჩნდნენ ათლეტები, რომლებიც მსოფლიო დონის შედეგების მოპოვებას შეძლებდნენ. პერსპექტიული ახალგაზრდა ძალოსნები არიან კოლესნიკოვი და ვორონინი, მაგრამ მათ გულმოდგინე მუშაობა დასჭირდებათ მონრეალში ოქროს მედლების მოპოვებისთვის. სხვათა შორის, ნაკლები საკუთარი წონის წყალობით გამარჯვება თვით სპორტსმენსაც და მის მწვრთნელსაც უნდა აფიქრებდეთ. სხვა შეჯიბრებაში სხვაგვარი ვარიანტებიცაა შესაძლებელი.

რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, მათ მხოლოდ ერთეული ნიჭიერი ძალოსნები ჰყავთ, რომლებიც უმთავრესად პირველ ექვსეულში მოხვედრისთვის იბრძოდნენ და პირად რეკორდებს უტევდნენ. მათთვის უთუოდ სასარგებლო გაკვეთილი იქნება ლიდერებთან ერთად ასპარეზობა და ყოფილი აუტსაიდერის სიურპრიზებისგან არავინაა დაზღვეული.

● როგორ გესახებათ ძალოსნობის მომავალი?

— მსოფლიო რეკორდების რიცხვით ჩვენ მოცურავეებს მივყვებით კვალში. ძალოსანთა მიღწევების ზღვარს მე ვერ ვხედავ. უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი გარემოება: ჩვენი სახეობა სულ უფრო პოპულარული ხდება.

ვ. კუკუშკინი.
(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

ერთი წლის შემდეგ...

შარშან სექტემბერში რომის ოლიმპიური სტადიონი კონტინენტის მძლეოსანთა ჩემპიონატს მასპინძლობდა, ზუსტად წლისთავზე კი ეს სარბიელი „სპორტის დედოფლის" რაინდთა ახალი თავყრილობის ცენტრად გადაიქცა — მძლეოსნობაში სტუდენტთა მსოფლიო თამაშების მონაწილეები აქ რამდენიმე დღეს ასპარეზობდნენ. ფაქტიურად ეს იყო მონრეალის ოლიმპიადისთვის ძალების მორიგი შემოწმება, ამიტომაც შეჯიბრებამ აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ევროპის 42 ქვეყნის წარმომადგენლებს მოუყარა თავი. ყველაზე მრავალრიცხოვანი გუნდი მასპინძლებს ჰყავდათ — 65 მძლეოსანი.

სიცხის მიუხედავად, შეჯიბრება საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა.

სსრ კავშირის კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაშიც 47 სპორტსმენი იყო, 7 ოქროს, 5 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. საბჭოთა სტუდენტებიდან ჩემპიონი გახდა ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ლ. მასლაკოვა — 11,31. სსრ კავშირის კვარტეტმა მოიგო 4×100 მეტრზე ესტაფეტა — 44,77. ტ. ფილატოვამ სიმაღლეზე ხტომაში ნაკლები ცდით აჯობა მასპინძელ ს. სიმეონის. ორივემ 188 სმ გადალახა. აქ ბრინჯაოს ჯილდოსაც საბჭოთა მძლეოსანი ა. ფედორჩუკი (186) დაეპატრონა. შუბის ტყორცნა მოიგო ნ. იაკუბოვიჩმა — 61,72 მ. მან ამერიკელ ქ. შმიდტს 1,36 მეტრით აჯობა. ნ. მორგუნოვამ ყველას სძლია 800 მეტრზე რბენაში — 2.01,94.

ვაჟებმა ორი გამარჯვება მოიპოვეს. ა. სპირიდონოვის ურომ ყველაზე შორს (73,82 მ) იფრინა, ხოლო კვარტეტმა 4×100 მეტრზე ესტაფეტაში ფინიშთან მისვლისთვის ყველაზე ცოტა დრო დახარჯა — 39,8.

რ. მაკაუსკაიტემ ბირთვის კვრაში ბულგარელ ე. სტოიანოვასთან (18,99) 93 სმ წააგო და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. საბჭოთა მძლეოსნებმა ამ სახეობაში ვაჟთა შორის ვერცხლის ჯილდო მიიღეს — ა. იაროშმა 19,18 მ აჩვენა, კანადელმა ბ. დოლეგევიჩმა — 19,45 მ.

II ადგილები დაიკავეს, აგრეთვე, ქალთა შორის 400 მეტრზე რბენაში ი. კლიმოვიჩმა — 52,25 (ჩემპიონი გახდა ფინელი გ. ჰაგმანი — 51,8), ვაჟთა შორის 800 მეტრზე შეჯიბრებაში ბ. ლიტოვჩენკომ — 1.50,13 (გაიმარჯვა პოლონელმა ნ. გონდეკამ — 1.50,04). სამხტომში ა. პისკულინს (16,52) და ს. სიდორენკოს (16,42) მხოლოდ პოლონელმა მ. იოახიმოვსკიმ აჯობა — 16,54. 110 მეტრზე თარჯრბენში ე. პერევერზევს (13,94) ამერიკელმა ჯ. ფოსტერმა 0,11 წამით გაუსწრო.

სხვა სახეობებში გაიმარჯვეს: ქალთა შორის 1500 მეტრზე რბენაში — გ. ველმანმა (გფრ) — 4.08,72, 100 მეტრზე თარჯრბენში — გ. რაბშტინმა (პოლონეთი) — 13,14 (საბჭოთა სპორტსმენი ტ. ანისიმოვა ფინიშთან მესამე იყო — 13,64), ბადროს ტყორცნაში — მ. ვერგოვამ (ბულგარეთი) — 65,23, ხუთჭიდში — ფრედერიკმა (აშშ) — 4442 ქულა (ო. რუკავიშნიკოვა მესამე იყო — 4313), 3000 მეტრზე რბენაში — ნ. ანდრეიმ (რუმინეთი) — 8.54,09 (ქ. ულმასოვა მესამეა — 8.55,88).

ვაჟთა შორის ორი ოქროს მედალი მიიღო მასპინძელმა პ. მენეამ — 100 მეტრზე რბენაში 10,28 აჩვენა, 200 მეტრზე — 20,23. 400 მეტრზე რბენა მოიგო ი. პეტრჩიკმა (პოლონეთი) — 46,26, 1500 მეტრზე უძლიერესი იყო ტ. ვესინგჰაგე (გფრ) — 3.39,73, 10000 მეტრზე რბენაში — ფ. ფავა (იტალია) — 28.37,92, 400 მეტრზე თარჯრბენში — ფ. ციგლერი (გფრ) — 50,43, 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში — ბ. მალინოვსკი (პოლონეთი) — 8.22,32, ჭოკით ხტომაში — ფ. ტრაკანელი (საფრანგეთი) — 520 სმ, სიგრძეზე ხტომაში — გ. ციბულსკი (პოლონეთი) — 827 სმ (ე. პერევერზევი მესამე იყო — 798), შუბის ტყორცნაში — გ. მეგელია (რუმინეთი) — 81,30 (ი. მორგელმა მესამე ადგილი დაიკავა — 78,44). ბადროს ტყორცნა მოიგო მ. ტუოკომ (ფინეთი) — 62,94 (ი. სპასოვხოდსკიმ ბრინჯაოს მედალი მიიღო — 57,80). ათჭიდში იმარჯვა ი. ცაილბაუერმა (ავსტრია) — 7857 ქულა.

მედლების უხვი ნადავლი

წლევანდელ სეზონში ბრწყინვალედ გამოდის გდრ-ის სპორტსმენი, 16 წლის მოცურავე კორნელია ენდერი. ოქროს მედალი და მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში, ოქროს ჯილდო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრებაში, კიდევ ერთი ოქროს მედალი 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში (გარდა ამისა, მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე, რომელიც ენდერმა პირველ ეტაპზე დაამყარა), ვერცხლის ჯილდო 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. ეს ყველაფერი მოპოვებულია ერთ მსოფლიო ჩემპიონატში.

სურათებზე: ზევით — ქ. ენდერი; ქვევით — კიდევ ერთი ოქროს მედალი!

საკდესის ფოტოები.

მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 24 სექტემბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 36-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

„სპორტლოტო" — 11, 13, 22, 25, 38, 45;

„სპორტლოტო-2" — 7, 10, 26, 27, 40, 43.

„დებიუტანტის" თაყვანისმცემლები

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორია უკვე სამბისტთა სამ ტურნირს იცნობს, მაგრამ ჭიდაობის ეს სახეობა ჯერჯერობით მაინც „დებიუტანტის" როლშია და ნელ-ნელა იძენს ახალ თაყვანისმცემლებს. ბულგარეთისა და მონგოლეთის სამბისტებზე არაფერს ვამბობთ. მათ სხვებზე ადრე დაიწყეს ამ სახეობის დანერგვა და უკვე გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ.

შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში სრულიად მოულოდნელად თავი გამოიჩინეს ესპანელმა ათლეტებმა. ამ ქვეყანაში ჭიდაობა საერთოდ არ არის პოპულარული, ამიტომაც მისასალმებელი იყო, რომ ულან-ბატორში ოთხი ესპანელი სამბისტი გავიდა საპრიზო ადგილებზე (ტ. სანტანა, ხ. ჰონსალესი, ხ. მორალესი, ხ. ბარბუზანო). წლეულს პრიზიორები ჰყავდა იაპონიასაც, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, ხოლო ინგლისელმა მ. ალენმა ჩემპიონის ოქროს მედალიც კი მოიპოვა 90 კგ წონითს კატეგორიაში.

რას ნიშნავს ყველაფერი ეს? იმას, რომ სამბო თანდათან პოპულარული სპორტი ხდება.

საბჭოთა სამბისტების გამარჯვება სავსებით კანონზომიერია. სამბო დაიბადა და განვითარდა საბჭოთა ქვეყანაში და, ცხადია, ამ სახელმწიფოს ათლეტებს დიდხანს ვერავინ გაუწევს ღირსეულ მეტოქეობას. დიახ, ჩვენ ვამბობთ ღირსეულსო, თორემ კონკურენცია უკვე იგრძნობა. ჯერ მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ფინალში გამარჯვებისთვის 9 ბულგარელი და 6 მონგოლი ათლეტი იბრძოდა.

საგულისხმოა ერთი ფაქტიც: სამბოს განვითარება მსოფლიოში გეგმაზომიერად მიმდინარეობს, ამიტომაა, რომ პრიზიორები ჰყავთ ევროპასაც, აზიასაც და ამერიკასაც.

აი, როგორ განაწილდა მედლები ქვეყნებს შორის:

	ოქ.	ვერ.	ბრ.
სსრ კავშირი	8	2	—
ბულგარეთი	—	3	6
მონგოლეთი	1	4	1
იაპონია	—	1	1
ინგლისი	1	—	—
ესპანეთი	—	—	1
აშშ	—	—	1

გთავაზობთ ჩემპიონატის პრიზიორთა სიას.

48 კგ. 1. ს. ხოდიევი (სსრ კავშირი), 2. შ. მონონხუ (მონგოლეთი), 3. გ. სტოიჩევი (ბულგარეთი).

52 კგ. 1. მ. პუნცაგი (მონგოლეთი), 2. ი. მაღალაშვილი (სსრ კავშირი), 3. ა. ანდონოვი (ბულგარეთი).

57 კგ. 1. ვ. კიულენენი (სსრ კავშირი), 2. ი. დორჟი (მონგოლეთი), 3. ს. მალოვი (ბულგარეთი).

62 კგ. 1. მ. იუნაკი (სსრ კავშირი), 2. პ. პარვანოვი (ბულგარეთი), 3. ტ. ტაკასი (იაპონია).

68 კგ. 1. ა. ხაპაი (სსრ კავშირი), 2. ს. ველინოვი (ბულგარეთი), 3. ლ. სანტანო (ესპანეთი).

74 კგ. 1. ს. ყურბანოვი (სსრ კავშირი), 2. გ. ბატსუხი (მონგოლეთი), 3. პ. პენევი (ბულგარეთი).

82 კგ. 1. ჩ. ეჩერსკასი (სსრ კავშირი), 2. ე. მაცუნაგა (იაპონია), 3. კ. ხრისტოვი (ბულგარეთი).

90 კგ. 1. მ. ალენი (ინგლისი), 2. ვ. კარდოპოლოვი (სსრ კავშირი), 3. ვ. გუშკოვი (ბულგარეთი).

100 კგ. 1. ს. რახიმოვი (სსრ კავშირი), 2. ხ. ბაიანმუნხი (მონგოლეთი), 3. რ. უაინერი (აშშ).

მძიმე. 1. ვ. კუზნეცოვი (სსრ კავშირი), 2. ნ. დინევი (ბულგარეთი), 3. გ. ტალაა (მონგოლეთი).

გუნდური ადგილები: 1. სსრ კავშირი — 58 ქულა, 2. ბულგარეთი — 41, 3. მონგოლეთი — 36, 4. იაპონია — 24, 5. ესპანეთი — 18, 6. ინგლისი — 12, 7. აშშ — 9, 8. სამხრეთ კორეა — 4.

იოსელიანი ლიდერთა ჯგუფშია

თბილისის ოფიცერთა სახლში პროფკავშირული საზოგადოებების ქალთა საკავშირო პირადი პირველობის ოთხი ტურის შემდეგ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად. ნ. იოსელიანმა კარგად გამოიყენა უპირატესობა და დაამარცხა გ. გუმილევსკაია (უფა). მეორე გადადებულ პარტიაში ლ. შავკუნოვასთან (სვერდლოვსკი) იოსელიანს მძიმე პოზიცია ჰქონდა, მაგრამ მეტოქე ვერ გაერკვა შექმნილ მდგომარეობაში და რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, რითაც ისარგებლა იოსელიანმა და გაიმარჯვა. ეს შავკუნოვას მეოთხე წაგებაა.

რ. გევიძემ (მოსკოვი) დაამარცხა ც. კახაბრიშვილი, ლ. მულენკომ (ზაპოროჟიე) წააგო ვ. დონჩენკოსთან (მოსკოვი), ა. აკოფიანმა (ლენინაკანი) — ტ. ვორონოვასთან (მოსკოვი), ლ. ზაიცევამ (მოსკოვი) — ს. იგნატჩენკოსთან (ზაპოროჟიე). ყაიმით დამთავრდა დონჩენკო — თ. გოლოვეის (მინსკი), ვორონოვა — ე. ბელოვას (ლენინგრადი), ლ. კულიკოვა (დნეპროპეტროვსკი) — კახაბრიშვილის, გუმილევსკაია — კულიკოვას, ბელოვა — გოლოვეის, აკოფიან — იგნატჩენკოს, გოლოვეი — რ. პოპივოდას (მოსკოვი), გუმილევსკაია — დონჩენკოს პარტიები.

ოთხი ტურის შემდეგ დაწინაურდა ვორონოვა — 3 ქულა. 2,5-2,5 ქულა მოაგროვეს იოსელიანმა, მულენკომ, გოლოვეიმ, კულიკოვამ და დონჩენკომ.

ო. ალხანიშვილი.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02923